ევროკავშირი საქართველოსთვის

გასაფერადებელი

# სურსათის ეროვნული სააგენტოს

# **ცხელი ხაზი**

# **1501**



მომხმარებელი.ge

2025

საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია


მთელი დღეა ვფიქრობ რა დამავიწყდა?
რა დამავიწყდა და გუშინ სოსისმა რომ მომწამლა,
მაღაზიისთვის უნდა მეთქვა,
რომ გაფუჭებული იყო.


გუშინ
ისე კვნესოდი,
არ მეგონა
თუ ასე სწრაფად
დაგავიწყდებოდა.
ვუი...
ვაი...
ვუი...
ვაი...


ჩავალ და ვეტყვი.
გამოასწორებენ ვითომ?
კარგი რა, მა,
რა აზრი
აქვს?!


დიახ, თუ ეტყვი,
შეიძლება გამოასწორონ.
იქნებ არც იცოდნენ,
გაფუჭებული რომ იყო.


მეზობლებმა
რომ უთხრეს ნამცხვრებზე,
მერე კი გამოასწორეს.


კარგი, ვეტყვი
და თუ არ გამოასწორეს,
მერე დავრეკავ იქ . . .
რა ქვია?
სურსათის
ეროვნული
სააგენტოს
ცხელი ხაზი
1501


ჯერ მამა ეტყვის, რომ გაფუჭებულს ყიდიან. თუ გამოასწორეს, ხომ კარგი. თუ არადა, ახია მათზე! აბა, მამა რომ მოწამლეს, კარგი იყო? ვინ იცის, კიდევ რამდენი ადამიანი მოიწამლება?!
მაშო, ეგ ხომ „ჩაშვებაა“, გამყიდველი ცოდო არ არის?


მმმ... არ არის ჩაშვება. მაშო მართალია, მაგისთვისაა ეს ცხელი ხაზი 1501, შენს თავსაც იცავ და სხვასაც.
ჰოდა, ჯერ გავაფრთხილებ, თუ არ  გამოასწორეს, დავრეკავ!

*გასაფერადებელი მომზადდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD - Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში, ასევე, ორგანიზაციის „პური მსოფლიოს“ (გერმანია) მიერ  დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.*

*ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხე-დულებებს.*

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი**
მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა
საქართველო, თბილისი, იოველ ჯებაშვილის I გასასვლელი #5, 0177
ტელ.: (32) 239-90-19, (32) 239-90-18
ელფოსტა: office@csrdg.ge
ვებსაიტი: www.csrdg.ge; www.momxmarebeli.ge
ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/momxmarebeli.ge

